# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34


# საკრებულოს თავმჯდომარის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №122

20 მაისი 2013 წ.

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონის $19^5$ მუხლის მე-8 პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის № 1-1/1487 ბრძანების მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შეიქმნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით, პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემი მუდმივმოქმედი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ირაკლი ახობაძე – მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარე;
- მალხაზი დოლიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვისა და პრივატიზების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- გიორგი სიმონია – მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი მიწის მართვის საკითხებში - აუქციონატორი;
- ლელა მდინარაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი ქონების საკითხებში - მდივანი ; რეგისტრატორი.

- ვლადიმერ ლომთათიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - წევრი;

- გოგი ბოლქვაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში – წევრი.

- ნინო ვაჩეიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში – წევრი.

- ნინო სიხარულიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში – წევრი.

2. კომისიამ იხელმძღვანელოს „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონი მე-6 მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 1 ნოემბრის ბრძანება №28 – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ"

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

*ანტონ ხუნდაძე*

*ვიზირებულია,*

*იურისტი* *ედიშერ ჯიბუტი*